აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ფოტო - გამოფენა „მუჰაჯირობა“

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო „მუჰაჯირობის" დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. მინისტრის აპარატთან ერთად აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებაში ჩართული იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: აფხაზეთის ა/რ მთავრობა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის ინსტიტუტი და ასოციაცია „მშვიდობა და განათლება". ღონისძიებას უძღვებოდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო:

- უნიკალური ფოტომასალა, სადაც ასახულია ის მოვლენები, რომლებიც დიდი ტკივილის მომტანი იყო აფხაზებისა და ქართველებისთვის;
- გაიმართა ქართულ-აფხაზური ფოლკლორული საღამო;
- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი ოთარ ჟორდანია, პროფესორი, ისტორიკოსი ბეჟან ხორავა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე მანანა ანუა